ხუთშაბათი, აგვისტოს 7 1919 წ. ფასი ₰. 50 კ. № 144

ჩვენი ქვეყანა

წელიწადი მესამე.

რედაქცია

სამაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში აღნიშნული უნდა იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი, დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია არ ინახავს. ინახება მხოლოდ დიდი მოთხრობები.

რედაქცია ღიაა: დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

მისამართი: ქუთაისი, თფილისის ქ., ფიჩხაძის ს. **ფოსტის ადრესი:** ქუთაისი ფოსტის ყუთი № 80.

კანტორა

გაზეთის ფასი; ერთი თვით 30 მან. 3 თვით 75 მ. **განცხადების ფასი:** სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 1 მ. და 50 კ. უკანასკნელზე 1 მ. ქალაქ გარედან მიღებული განცხადება ღირს ერთი ორად. **სამგლოვიარო განცხადება:** საშუალო ზომისა თითოჯერ არა უმეტეს სამი გამოცხადებისა 40 მ., 12 საათის შემდეგ 50 მან.

კანტორა ღიაა: დილის 8—2 საათამდე და საღამოს 5—7 საათამდე.

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ქუთაისის საგუბერნიო კომიტეტის ორგანო

გაუბედურებული მეუღლე ლიდა გაბრიელის ასული შვილით ნინუსით, გულდაოუთქულნი დედა ელისაბედ ნიკოლოზის ასული, დები: ნადია ნიჟარაძისა შვილით—სოსოთი, ოლია ხეჩინოვისა, თამარა და ელიკო; ძმები: გრიგოლი, ლადო, ალიოშა და შალვა, რძალი მარგალიტა სამსონის ასული და სიძე ნიკოლოზ ხეჩინოვი აუწყებენ ნათესავთ და მეგობართ რომ ქ. ბათომში ვერაგულათ მოკლეს.

კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე ნარსია

რომლის გამოსვენება ქუთაისში საფიჩხიის სასაფლაოზე დანიშნულია ხუთშაბათს 7 აგვისტოს ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე. პანაშვიდი ყოველ დღე 6 ნახ. საათზე.

კერძოთ გარათები არ დარიგდება. 3—3

ღრმად დამწუხრებულნი: ბიძა ნესტორ ანდრიას ძე, ბიკოლა ოლოლა სპირიდონის ასული შვილებით: ვახტანგ, ავთანდილ და შოთა ნარსიები, გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ტრაღიკულათ მოკლულ ქ. ბათომში საყვარელ

კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე ნარსიას

დაკარგვას. გამოსვენება საკუთარი სახლიდან ხუთშაბათს 7 აგვისტოს საღამოს 4 ნახ. საათზე. პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე.

2—2.

განცხადება.

ქუთაისის მაზრის ნაფიც-მსაჯულთა საერთო სიის შედგენა უკვე დაშავრდა და თანახმად ნაფიც-მსაჯულთა სასამართლოს დებულების მე-6 და 7 მუს., 1 მარიამობისთვიდან ორი კვირის განმავლობაში დილის 8—1 საათამდე ყოველ მოქალაქეს უფლება აქვს, თუ ვინმე უკანონოთ არის შეტანილი, ან გამოტოვებული სიაში, განცხადება საფუძვლით წარადგინოს სამაზრო ერობის იურიდიულ განყოფილებაში საქმის მწარმ. მიხ. ბოკერიასთან.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა. 3—3

განცხადება.

პარასკევს 8 აგვისტოს, ნაშუადღევის 1 საათზე, ქალაქის თვითმართველობის დარბაზში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

თეთრი ხიდის შესაკეთებლად.

ყოველივე პირობის გაგება შეიძლება ქალაქის გამგეობაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 2 საათამდე, ტეხნიკური განყოფილების საქმის მწარმოებელთან.

ქალაქის გამგეობა.

განცხადება

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს, რომ ხონის რკინის გზის ტელეგრაფის საჭიროებისათვის უნდა დამზადდეს ბოძები აჯამეთში (ყოფილ ანანოვის მამულში).

და ამის გამო **ორშაბათს, 10 მარიამობისთვეს** დილის 11 საათზე სამაზრო ერობის კანცელარიაში დანიშნულია

საჯარო ვაჭრობა

უნდა დამზადდეს და ჩამოტანილ იქნას ქუთაისში:

ბოძი . . . . . 1000 ცალი

შემდეგი ზომის: სიგრძე . . . . . 11 არშინი

სისხო ზევით ბოლოში 3—4 ვერშოკამდე.

სიბრტყნდე . . . . . 1—4 ვერშოკამდე.

განცხადება უნდა შემოტანილ იქნას ერობის კანცელარიაში საკანტროლო კომისიის მდივანთან **მიხ. ბოკერიასთან,** არა უგვიანეს პარასკევისა 8 მარიამობ. დახურულ კონვერტში და გარკვეულათ აღნიშნული თუ რა ფასში ღებულობთ ბოძის გამზადებას და მის ქუთაისში ჩამოტანას.

ყოველ გვარი ცნობისთვის საჭიროა მიმართონ ერობის უფროს ინჟინერს **ჩხეიძეს.** —

საკონტროლო კომისიის თავმჯდომარე **მ. ბაბაშელი.**

მდივანი: **მ. ბოკერია.** 2—2

გულდაწყვეტილნი ბიძა იოსა[illegible] ასული და ბიძაშვილი ქეთო იონას ასული ჭითავები აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ მათთვის დაუვიწყარი

კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე ნარსიას

ტრაღიკულად გარდაცვალებას. გამოსვენება 7 აგვისტოს ნაშუადღევს 4 ნახ. საათზე პოდგორნი ქუჩა პანაშვიდი ყოველ დღეს 6 ნახ. საათზე.

3—3.

ბიძეები გერასიმე და არსენ ნიკოლოზის ძენი და ბიკოლა მაგდანი იონას ასული ფოჩხუები, მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ მათი საყვარელი

კონსტანტინე (კოწია) ეგნატეს ძე ნარსიას

ქ. ბათომში ტრაღიკულად დაღუპვას გამოსვენება საკუთარი სახლიდან ხუთშაბათს 7 აგვისტოს საღამოს 4 ნახ. საათზე პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახ. საათზე.

3—3.

ქ. ბათომში ტრაღიკულად მოკლული იქმნა

კოწია ეგნატეს ძე ნარსია,

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ბიძები: დავით და ბესარიონ ვასილის ძენი გვახარიები. გამოსვენების დღეთ დანიშნულია 7 აგვისტო დღით ხუთშაბათი. ნაშუადღევის 4 ნახ. საათზე.

1—1.

ეგნატე ივანეს ძე ნარსიას წისქვილის მომუშავენი მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას

კოწია ეგნატეს ძე ნარსიას

გარდაცვალებას.

1—1

ეროვნული ბიბლიოთეკა

განცხადება.

ქუთაისის სამაზრო ერობის გამგეობა ამით აცხადებს **ერობის ხმოსანთა ყურადღებოთ**, რომ ამა წლის 7 აგვისტოს დღით ხუთშაბათს დილის 11 საათზე ერობის ბინაზე **დანიშნულია ქუთაისის სამაზრო**

ერობის ხმოსანთა ყრილობა.

დღის წესრიგი:

1. ხონის რკინის გზა,
2. დამატებითი ხარჯთ-აღრიცხვა,-
3. ცენტრი და ერობათა ყრილობაზე წარმომადგ. არჩევა,
4. შტატების გადასინჯვა,
5. მილიონ-ნახევრიანი სესხის საკითხი,
6. მიმდინარე კითხვები,
7. გამგეობის წევრის არჩევა.

გამგეობა.

ქუთაისის ვაჭარ-მრეწველთა საბჭო

აცხადებს, რომ ხუთშაბათს, 7 აგვისტოს, ნაშუადღევის 5 საათზე, ქალაქის თეატრში დანიშნულია

ვაჭარ მრეწველთა ხელოსანთა არა ჩვეულებრივი

საზოგადო კრება.

განსახილველია: წარმოებაზე გაწერილი გადასახადის საკითხი.

1—1 **ვაჭარ-მრეწველთა საბჭო.**

ექიმი ბოკერიას

ქირურგიული და ქალთა სნეულების საავათმყოფოში სამშობიარო განყოფილებით ივლისის 6 რიცხვიდან (ახ. სტ.) მუშაობა განახლდა და ავათმყოფების მიღებაც სწარმოებს.

ექიმი ვ. ი. **მაჭავარიანი.** იღებს საბებიო, ქალთა საშარდე მილის და ვენერიული სნეულების ავადმყოფებს (სისხლში შეშხაპუნება 606 და 914) ყოველ დღე დილის 9—12 საათ. საღამოს 6—8 საათ.

მისამართი: რესპუბლიკის ქ. საკუთარი სახ. ფოსტის გვერდით. 24—1

დამფუძნებელი კრების მუშაობა.

2 აგვისტოს დამფუძნებელმა კრებამ დროებით—19 სექტემბრამდის—მუშაობა შესწყვიტა.

რა გააკეთა მან 4 თვის განმავლობაში? რა დააფუძნა?

განსვენებული ამიერ-კავკასიის მიწის დეკრეტი დააკანონა, ნ. ყორდანიას მინისტრთა თავმჯდომარის ხარისხთან ერთად რესპუბლიკის პრეზიდენტის ხარისხიც მიანიჭა, ე. ი. მისი დიქტატურა დაკანონა, პარლამენტარიზმის ნაცვლად პარტიული დისციპლინა გაამეფა, რევოლიუციონური ორგანიზაციების წევრები სასამართლოს წინაშე პასუხისგებისაგან გაათავისუფლა, სენატორების ყოველ ორ წულს შეცვლა დააკანონა და მით მსაჯულის დამოუკიდებლობას ბოლო მოუღო, ანარქიასა და სიძვირეს ვერა დააკლო-რა და საყოველთაო სიღატაკის წინააღმდეგ ვერაფერი საშუალება ვერ გამონახა.

იმავე დროს კონსტიტუციის ძირითად კანონებს ჯერ ძვრაც კი ვერ უქნა!

ამავე დროს გერმანიის დამფუძნებელმა კრებამ, რომელიც დაახლოვებით ამდენსავე ხანს მუშაობდა, უკვე კონსტიტუციის შემუშავება დაასრულა!

რა განსხვავებაა!

ამგვარად დამფუძნებელ კრებას დაავიწყდა, რომ მისი უმთავრესი მოვალეობა—კონსტიტუციის შედგენაა, და სხვა საქმეებს გადაჰყვა.

რას მივაწეროთ პირდაპირი მოვალეობის ასეთი დავიწყება? ნუ თუ იმას, რომ დამფუძნებელი კრება უმთავრესად ვაჭარია გურულებისა და რუბენ ყიფიანებისაგან შედგება, რომელთაც, როგორც მათი სიტყვებიდან ჩანს, კონსტიტუციის შედგენისათვის საჭირო ცოდნა და გამოცდილება არ მოეპოვებათ?!

ვფიქრობ, რომ არა, ვინაიდან, მადლობა ღმერთს, სოციალ დემოკრატიულ ფრაქციაშიაც არიან იურისტები; ვაჭარია გურულებსა და რუბენ ყიფიანებს ხომ კონსტიტუციის შედგენისათვის არავინ შეაწუხებს: მათგან მხოლოდ კენჭებს მოითხოვენ.

დიახ! ვფიქრობ, რომ დამფუძნებელმა კრებამ თავისი უმთავრესი, პირდაპირი დანიშნულება დაივიწყა.

და ეს—საქართველოს მოუწყობლობას ერთ ერთს მთავარ მიზეზად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს არ აქვს ჯერ ძირითადი კანონები, თვინიერ რომელთა უფლებრივ სფეროში ანარქია აუცილებელია. არც ბურჟუაზიულმა და არც დემოკრატიულ-რატორმა, არც მთავრობამ და არც კანონმდებელმა, არც პარტიულმა ორგანიზაციამ და არც კერძო მოქალაქემ არ იციან, სად თავდება თვითეულისა და სად იწყება სხვისი უფლება-მოვალეობანი!

მაშ დამფუძნებელმა კრებამ ბარემ-ღა უნდა შეასრულოს თავისი დანიშნულება, უნდა შეადგინოს და დაადასტურებიოს ხალხს კონსტიტუცია და შემდეგ ადგილი დაუთმოს ახალ საკანონმდებლო ორგანოს.

მაგალითი თვალწინ გვაქვს: გერმანიის ახალი კონსტიტუცია. მადლობა ღმერთს, ახლა ისე ძნელი აღარ უნდა იყოს კონსტიტუციის შედგენა, როგორც საფრანგეთის დიდი რევოლიუციის დროს იყო. უკვე ბევრია ნამუშავარი ამ სარბიელზე და მაშასადამე ახლანდელ კანონთდამფუძნებელს საქმე მეტად გაადვილებული აქვს.

დროა ბარემ!

ვასილ წერეთელი.

საქმე დავაჩქაროთ.

ვის შეუძლიან დააფასოს სავსებით შკოლის მნიშვნელობა საერთოდ და განსაკუთრებით მისი მნიშვნელობა თანამედროვე ცივილიზაციის წინაშე. მეტად ძნელია ამ განმანათლებელ დაწესებულების ღირებულების აღნუსხვა, რადგან მისი გავლენა ხალხზე მრავალმხრივია და პირდაპირ უსაზღვრო..

ჩვენ, თანამედროვე ქართველებს, ეს დებულება კარგად გვესმის, მაგრამ გვესმის იგი უფრო თეორიულად..

ამ ხუთი თვის წინად ლეონ ნათაძემ დამფუძნებელ კრების განათლების კომისიის სხდომაზე წაიკითხა შინაარსიანი მოხსენება საშკოლო რეფორმების შესახებ და მან სხვათა შორის თქვა: „ჩვენ ძალიან ხშირად გვილაპარაკნია საყოველთაო, სავალდებულო და უფასო პირველ-დაწყებით სწავლაზეო.. გარდა ამისა ვერ ნახავთ ისეთ საარჩევნო პლატფორმას, ისეთ დეკლარაციას, რომ ეს დაპირება არ იყოს შიგ აღნიშნული... ყველა გრძნობს, რომ ამის განხორციელება **ჩვენი უპირველესი ვალიაო**, მაგრამ ამ ორი წლის განმავლობაში **არც ერთი რეალური ნაბიჯი** არ გადადგმულა ამის გასაკეთებლად, თუ სათვალავში არ ჩავაგდებთ უსისტემოთ და უგეგმოთ გახსნილ რამდენიმე სკოლას ჩვენში.

სრულ ჭეშმარიტებას ბძანებს ლ. ნათაძე! სახალხო განათლების სფეროში არაფერი გაკეთებულა და ეს მეტად სამწუხარო მოვლენაა. მოვახდინეთ საჩქაროდ ხოლოდ ნაციონალიზაცია, რომელიც უფრო შეეხო ენას და არა განათლების სისტემას, მართალია, ამ ნაციონალიზაციამ ჩვენი სკოლა ერთბაშად ბუნებრივ და რაციონალურ ნიადაგზე დააყენა, მაგრამ, როგორც სამართლიანად შენიშნავს მომხსენებელი, ძველ სახელმწიფოებრივ იდეასთან შეთანხმებული და მის მიერ შობილი შკოლა, რაც **უნდა „ვაპაჩინკოთ“**ო ვერ გამოდგება დემოკრატიულ წყობილებაში..

ამნაირად, თვით მთავრობის წარმომადგენელი იმ დასკვნამდი მიდის, **რომ** ჩვენი სკოლა თავიდამ ბოლომდის რეფორმას საჭიროებს.. და განა დრო არ არის ეს რეფორმა პრაკტიკულად განვახორციელოთ?. რა გარემოება გვიშლის?. უსახსრობა?. თუ მოვინდომებთ, გარწმუნებთ საშუალებასაც მალე ვიპოვით.. უნდა ვეცადოთ ხალხში შევიტანოთ შეგნება სწავლა-განათლების მნიშვნელობის და ის თითონ გამოიღებს თავის წვლილს. ასე მოხდა სხვაგან, ასედაც უნდა მოხდეს ჩვენში.. ხალხის უმრავლესობას უნდა შევაგნებინოთ ის დიდი მნიშვნელობა რომელიც აქვს განსაკუთრებით პირველ-დაწყებით სკოლას, ვინაიდან ეხება საძირკველი სახალხო განათლებისა. ფართო მასამ უნდა გაიგოს რომ შკოლა მის ცხოვრებას წინ წასწევს და გაამშვენიერებს რომ იგი მოგვივზადებს ისეთ მოღვაწეებს, რომელნიც შთამამავლობისაგან დატოვებულ კულტურულ მემკვიდრეობას გაიფართოვებენ, გაამდიდრებენ ახალი საშუალებებით და ახალი გამოგონებით.

მაგრამ შკოლის მიზანი მარტო ამით არ თავდება. შკოლა თავის კედლების შუა აგროვებს სხვადასხვა ჯულის, სხვადასხვა წოდების და სხვადასხვა ნიჭის მქონე მოწაფეებს და მათში ზრდის კეთილშობილურ გრძნობებს—ურთიერთისადმი ჰატივისცემას, ურთიერთისადმი მომთმინეობას და გაგებას.

შკოლის უდიდესი მიზანი სწორედ ესაა, განსაკუთრებით პირველ-დაწყებითი სასწავლებლისა, რომელიც უნდა გაიაროს ყველამ მიუხედავათ იმისა, ღარიბია თუ მდიდარი, ნიჭიერი თუ უნიჭო, ბრძა თუ ყრუ...

დიახ, ვიმეორებ, საჭიროა ხალხში ასეთი შეგნება შევიტანოთ... სტატისტიკური ცნობების მიხედვითა, ზოგიერთი ჩვენი ქვეყნის კუთხე სწავლა-განათლების მხრივ ნამდვილ უდაბნოს წარმოადგენს; ლეო ნათაძის სიტყვებიდან სჩანს, რომ ასეთ კუთხეში წერა-კითხვის მცოდნე ნ-ს პროცენტებს არ აღემატება... დროა ამ სამწუხარო მოვლენას ბოლო მოეღოს. და რაც მალე შეუდგებით საქმეს, ისა სჯობია...

ჩემის აზრით, ქვეყანა უნდა დაიყოს საშკოლო ოლქებათ; ყოველი ოლქი მთავრობის ხელმძღვანელობითა და დახმარებითა მოაწყობს სწავლა-განათლების საქმეს... ოლქის წარმომადგენლებს, შეიძლება, ინიციატივაც მივანიჭოთ, ვინაიდან ეს გარემოება მათში გამოიწვევს დიდ ხალისს მოქმედებისადმი. პირველი ცნობით, როგორც ეს მოხდა იაპონიაში და ფინეთში, დაწესდება ამ ოლქებში საშკოლო გადასახადი. ხაზინაც თავის მხრივ მიანდობს საჭირო სუბსიდიას... უნდა გვახსოვდეს. რომ ის ფული, რომელიც სწავლა-განათლების საქმეშივე დაიხარჯება, ის დაკარგულად არ უნდა ჩაითვალოს. ეკონომიური ღირებულება ერთ გენიოს მოწაფისა მოგებით დაფარავს იმ ხარჯს; რომელსაც განათლ[illegible] გასავრცელებლად [illegible] ზოგადოება...

ეს აზრი [illegible] ლმა მეცნიერმა კემბრიჯის უნ[illegible] პროფესორმა ალფრედ მარშალმა [illegible] ვისი სახელგანთქმულ თხზულებაში: „ეკონომიკის პრინციპები“ იგი სხვათა[illegible] რის სწერს: მიეცით ხალხს საყოველთ[illegible] და საფუძვლიანი სწავლა-განათლება.. ა[illegible] საზოგადოება იგებს, რადგან **„ეროვნული თაობის სარგებლიანი შენახვა** [illegible] ლოდ ასეთი საშუალებით მოხდებაო“.

ალ. გარსევანიშვილი.

პრესა.

„ერთობა“ და საზღვრები.

სოციალისტებისათვის სახელმწიფოს [illegible] ზღვრების დაცვა არასოდეს არ ყოფილ[illegible] ზრუნვის საგნად. ისინი ამას ყოველ[illegible] ვის ზედმეტად სთვლიდენ. სამაგიერ[illegible] მათი ოცნება იყო არსებულის დანგრევ[illegible] განიავება და თავისი ბატონობის გამ[illegible] ცხადება.

სანამ ერი იარსებებს, სანამ ერს აქ[illegible] თავისი სახელმწიფოებრივი მართვ[illegible] გამგეობა, მანამ საზღვრების საკითხი ყოვ[illegible] ლთვის იქნება წამოყენებული და მას აუ[illegible] ციელებლობას რეალურად ვერ უარყო[illegible] ფენ ვერც სოციალისტები. ენით ყველა[illegible] ფერი ითქმის, კალმით შეიძლებ[illegible] ყველაფერი დასწერო, სოციალისტურ[illegible] თეორიებში შეიძლება ყველაფერი იქნ[illegible] შეტანილი, მაგრამ პრაქტიკულად სახელ[illegible] მწიფოს არსებობა უსაზღვრებოთ ყოველ[illegible] შეუძლებელია.

„ეროობაც“ ეხება ამ საკითხს [illegible] სწერს:

„საზღვრების საკითხმა კვლავ წამო[illegible] ჰყო თავი. და ის მანამდის იარსებებს, სანამ დღევანდელი ბურჟუაზიული წყობილება ალაგს არ დაუთმობს ხალხის მმართველობას.

ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, ვითომ ჩვენი მთავრობა და დემ[illegible] [illegible] ყურადღებას არ აქცევენ საზღვრების საკითხს.“

უნდა მოვახსენოთ „ერთობის“ პუბლიცისტებს, რომ ხალხის-დემოკრატია ყოველთვის მიაქცევს ყურადღებას საზღვრებს. სწორედ ამით აიხსნება სომხეთისა თუ სხვა თავდამსხმელების წინააღმდეგ მამაცურად, რომ ილაშქრებს ქართველი მხედრობა რომელნიც გამოსულნი არიან ქართველი ხალხის—დემოკრატიის წრიდან, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენდა, წინააღმდეგ ჩვენის მხედრობისა, მთავრობა და მართველი პარტიაც დღემდის ნაკლებ ყურადღებას აქცევს საქართველოს რესპუბლიკის საზღვრებს. ამით აიხსნება სწორედ ის მოვლენაც ჩვენ ბამბაკის, ნაწილი და ნახევარზე მეტი ბორჩალოს მაზრისა, რომ დავკარგეთ.

შემდეგ გაზეთი განაგრძობს:—

საზღვარი ჩვენთვის არ არის ფეტიში, არ არის კერპი, რომელსაც ბრმათ უნდა ვემსახუროთ და ყოველგვარი მსხვერპლი უნდა შევსწიროთ. ეს მნიშვნელოვანი განსხვავებაა ჩვენსა და ყველა ჯურის ნაციონალისტთა შორის.

როცა ჩვენ რუსეთის ცხოვრების სინამდვილეში საჭიროთ არ ვთვლიდით საქართველოსათვის ავტონომია მოგვეთხოვა, მცონარე ინტელიგენტთა ჯგუფი თავად-აზნაურობის ლოცვა-კურთხევით მამულის უარმყოფელის სახელით გვნათლავდა. ისინი მაშინ ავტონომიის მზეს ლოცულობდნენ, ჩვენ კი ამ დროს რუსეთის დემოკრატიასთან ერთად ვიბრძოდით თვითმპყრობელობის დასანგრევად და საქვეყნოთ ვაცხადებდით: ავტონომია ჩვენთვის არ არის იდეალი, დღეს მას ჩვენ არ ვთხოულობთ, მაგრამ შესაძლოა გარემოება ისე შეიცვალოს, რომ სრულს დამოუკიდებლობასაც დავუჭიროთ მხარი თქო. ასეთი ვითარება შარშან მოგვეველინა და 26 მაისი სავსებით

ამართლებს ჩვენს ნათქვამს.

დიახ ყოველთვის ყოფილა ნაციონალისტებსა და სოციალისტებს შორის განსხვავება საზღვრების შესახებ. იქნება კიდეც სანამ სოციალისტურ ნიღაბს არ ჩამოიშორებენ.

„ერთობა“ საყვედურსაც კი აცხადებს რომ ჩვენ მამულის უარმყოფელის სახელით გვნათლავდენო. და სრული უფლებაც გვქონდა ასე მოვქცეულიყავით, რადგანაც სოც. დემოკრატებს სამშობლოსი არაფერი სწამდათ. განა რევოლიუციის პირველ ხანაშიდაც არ გაიძახოდენ ისინი, როდესაც ჩვენ საქართველოს დამოუკიდებლობას მოვითხოვდით — „მუშებს, პროლეტარებს სამშობლო არა აქვთო“?..

და 26 მაისს საქართველოს დამოუკიდებლობა რომ გამოცხადდა, ეს სოციალ დემოკრატების სურვილები კი არ ყოფილა, არამედ ისინი გააწბილა, რუსეთმა, საქართველოსაკენ გამოისტუმრეს და მეტი გზაც აღარ დარჩენოდათ.

გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, მაგრამ საქართველოს საზღვრებს დაცვა სჭირდება, რასაც ჩვენი სოც. დემოკრატები და სოციალისტური მთავრობა ვერ შესძლებს.

ცნობები საგჭოთა რუსეთიდან.

(საკუთარ კორესპონდენტისაგან).

საქართველო და საბჭოთა რუსეთი. საქართველოს დამოუკიდებლობას საბჭოთა რუსეთში მეტად ალმაცრივ უმზერენ. მათ ვერც კი წარმოუდგენიათ დამოუკიდებელი საქართველო. განსაკუთრებით არაფერი სწამთ მენშევიკების.

კ. წერეთლისა და ნ. ჩხეიძის შესახებ. კაკი წერეთელს და ნ. ჩხეიძეს მეტი ზიზღით უცქერენ. ბოლშევიკები როგორც წერეთელს ისე ჩხეიძეს „დუხანშჩიკებს“ უწოდებენ. მოსკოვში ამას წინად გააკეთეს დიდი პლაკატი რომელზედაც ჩოხა ახალუხში გამოწყობილი წერეთელი და ჩხეიძე იყო გამოხატული, რომელსაც სამიკიტნოდან გამოდიოდენ. ამ „პლაკატზევე“ დახატული იყო გერმანელის დიდი ფეხი, რომელიც საქართველოს უკვე სტოვებდა. იყო აგრეთვე შემდეგი წარწერა: — „ქართველი“ „დუხანშჩიკები“ მუშებს ევროპის იმპერიალისტებს ჰყიდიან“.

საქართველოს საელჩოები. საბჭოთა რუსეთის სხვადასხვა ქალაქებში საქართველოს ბევრი საელჩოები არის დაარსებული, რაც ჩვენს მთავრობას დიდი თანხა უჯდება. „ელჩები“ კი არაფერს არ აკეთებენ. აქვთ კონცელარიები გახსნილი და უმთავრესად სპეკულიაციას ეწევიან. თვით მოსკოვშიდაც არავინ იცის თუ არსებობს საქართველოს საელჩო, რადგან მისი უმოქმედობით მას ანგარიშს არავინ უწევს.

ქართველების მობილიზაცია. საბჭოთა მთავრობას ჯარში ქართველი ახალგაზდობაც გაჰყავსთ, ვერ ეხებიან მხოლოდ სტუდენტებს.

ინფორმაცია საქართველოს შესახებ. საქართველოს შესახებ ჩამოსული პირებისაგან ცნობებს თითქმის მალ-მალე ვტყობილობთ, მაგრამ ადგილობრივი გაზეთების მეოხებით ვრცელდება ათასგვარი ჭორები. ქართველ სომეხთა ომის დროს ერთ-ერთ გაზეთში მოთავსებული იყო ცნობა ვითომც გამარჯვებული სომხეთის ჯარი თბილისში შესულიყვნენ, საქართველოს მთავრობა კი გაქცეულიყო, მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ ცნობა იყო, რომ საქართველომ სომხეთს რამდენიმე ათასი მანეთის კონტრიბუცია დაადვაო. ერთი სიტყვით მოსკოვის გაზეთებში საქართველოს შესახებ არაფერი დაიბეჭდა თუ დამახინჯებული არ იქნა.

პოლიტიკური პარტიები. მოსკოვში ამ ჟამად არც ერთი პოლიტიკური პარტიის ფიზიანომია არ მოსჩანს გარდა ბოლშევიკებისა. ყველაფერს ბოლშევიზმის დაღი აზის. აღარ არის ის ენტუზიაზმი რევოლიუციის პირველ ხანებში რომ იყო ხალხში. ბოლშევიკების ბატონობის გამო, ყველას ბოლშევიკათ მოაქვს თავი.

ჩერნოვი. ჩერნოვი ამ ჟამად მოსკოვში სცხოვრობს. იგი გარეთ არ გამოდის. არც ბოლშევიკები სდევნიან მას, რადგანაც მშვიდობიანად სცხოვრობს და ბოლშევიკებს ხელს არ უშლის.

აბრამოვიჩი. აბრამოვიჩი ღღემდის საბჭოთა მთავრობას დაპატიმრებული ჰყავდა მოსკოვში. ეხლა იგი განთავისუფლებულია, მაგრამ საპატიმროდან ისე გამოვიდა როგორც საფლავიდან ამდგარი.

ძველი გენერლები და ოფიცრობა. ძველი გენერლების ერთი ნაწილი და ოფიცრობა ბოლშევიკების წითელ არმიაში სამსახურზე დათანხმდა, მეორე ნაწილი კი გაიქცა და დენიკინ-კოლჩაკის ჯარში მსახურობენ.

გენერალი ბრუსლოვი. გენერალი ბრუსილოვი ამ ჟამად მოსკოვში სცხოვრობს. იგი ჯარში არ მსახურობს.

როსტოვის აღება როდესაც ბოლშევიკებმა როსტოვი დასტოვეს და იქ მოხალისეთა ჯარი შევიდა, ხალხი უკანასკნელს დიდის აღფრთოვანებათ შეხვდა. მაგრამ მოხალისეებმა მცხოვრებლების წინააღმდეგ სასტიკი ზომები მიიღეს.

სახლების კომიტეტები. მოსკოვში როცა სახლების სოციალიზაცია გამოაცხადეს და მეპატრონეებს ჩამოართვეს შესდგა სახლების კომიტეტები. ყველა სახლები ამ კომიტეტების ხელში გადადის. კომიტეტები განაგებენ ამ სახლებს და სახლების შემოსავალიც მათ ხელში გადადგს.

ინგლისური პრესა

ბელაკუნის გადადგომა.

გენ. რილმოში ბუდაპეშტი დაბრუნდა და ბელა-კუნი დაარწმუნა, გამოსულიყო მთავრობიდან.

ბულგარეთში.

ბულგარეთში მრავალი იარაღი და ამუნიცია არის რომელსაც მოკავშირეების წინააღმდეგ გამოიყენებენ, როგორც კი ზავის პირობებში ცნობილ იქნება. კრანტში სადაც თავი მოიყარეს, ეგრედწოდებულ ბულგარეთის „მოსახლეებმა“ გენერალ ბუასიმ აკრძალა კრებები და ბრძანება გასცა, რომ ყოველ ბერძენის სახლზე საფრანგეთის დროშა ამართონ.

შ. ჰი ევროპაში

ბრიუსელში სპარსეთის ელჩმა დეპეშა მიიღო, რომელშიაც ნათქვამია, რომ შაჰი ამ მოკლე ხანში ევროპაში მოსვლას აპირებს. ეს გამგზავრება ალბად აგვისტოს დამლევს მოხდება. შაჰი ინკოგნიტოთ იმგზავრებს.

ბულგარეთის ოკუპაცია.

ჟურნალ „დეიდებამ“ შემდეგი დეპეშა მიიღო: ბელგრადიდან იუწყებიან, რომ გენერალ ფრანშე დე-ესპრეს ბრძანებით საფრანგეთის დივიზიას ბულგარეთში გაჰგზავნიან ბულგარეთის ჯარის იარაღის ასაყრელად.

ბულგარელები და მოკავშირენი.

ბულგარელები მოკავშირეების ჯარს ცუდათ ეპყრობიან. ცნობების თანახმად შეტაკებას უკვე ადგილი ჰქონდა, ლომპალანკაში საფრანგეთის ჯარს სროლით შეხვდენ. შეიქნა ბრძოლა, რომლის დროს 9 ფრანგი ოფიცერი და 20 ჯარისკაცი მძიმედ დაიჭრა. დამნაშავეები ციხეში ჩასვეს და მთელ პოლკს, რომელიც ლომპალანდში იყო, იარაღი აყარეს.

ენვერ ფაშა ბოლშევიკების ჯარის უფროსად.

გაზეთების სიტყვით, ენვერ ფაშა საბჭოთა რუსეთში გადასულა. ბოლშევიკურ მთავრობას მისთვის დაუკისრებია ერთ-ერთ კორპუსის სარდლობა ურალის მთებში კოლჩაკის მხარეს. („ნ-აშხატ“).

ოსმალეთის მინისტრები მალტაზე

სტამბოლის ინგლისური გაზ. „დეილი ტელეგრაფი“ იუწყება, რომ კუნძულ მალტაზე გემით მოუყვანიათ 66 ოსმალო-ტყვე. ამ რიცხვშია ძველი რეჟიმის ყველა ის ყოფილი მინისტრები, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან სომეხთა ხოცვა-ჟლეტის საქმეებში.

ახალი ამბავი

ქუთაისი.

ერობის ყრილობა. დღეს, 7 აგვისტოს დანიშნულია ქუთაისის მაზრის ერობის ხმოსანთა ყრილობა. ყრილობა სხვათა შორის განიხილავს საკითხს ხონის რკინის გზის შესახებ.

მორჩაძე ქუთაისში. 5 ივლისს ყაჩაღი მორჩაძე ქუთაისში იყო. იგი თავისუფლად და უშინებლად გავიდა ქალაქიდან.

ვაჭარმრეწველთა კრება. დღეს ვაჭარმრეწველთა საბჭოში შესდგება ქუთაისის ვაჭარმრეწველთა და ხელოსანთა სასწრაფო კრება.

სასამართლოს გამომძიებელთა შტატები. იუსტიციის მინისტრის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი სასამართლოს გამომძიებელთა ინსტიტუტის ერთი წლით შესანახად ა. წ 1. ივნისიდან 2,849.700 მანეთის გადადების შესახებ მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას. ამ შტატებზე კიდევ უნდა გავრცელდეს ჩვეულებრივი მომატება.

საფოსტოამანათზე ნიხრის გადიდება. შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება საფოსტო ამანათზე ნიხრის გადიდების შესახებ მოწონებულ იქნას და სათანადო დეკრეტი გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

3000.000 მან. კრედიტი ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად. შინაგან საქ. მინისტრის მოხსენება ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად 3000 000 მან. გადიდების შესახებ მოწონებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას.

მხატვარ შევარდნაძესათვის ჯილდოს მიცემა. გადაიდოს შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში 5,000 მან. ათ მილიონიანი ფონდიდან მხატვარ შევარდნაძისათვის ჯილდოს მისაცემად საფოსტო ნიშნეიბს პროექტის შესრულებისათვის.

10 მილიონიანი სესხი ერობებს. შინაგან საქმეთა მინისტრის მოხსენება ერობებისათვის 10 მილიონი სესხის მიცემის შესახებ მოწონებულ იქნას და სათანადო დეკრეტი წარედგინოს დამფუძნებელ კრებას აღნიშნული სესხი ერობებმა უნდა აუნაზღაურონ ხაზინას 1919 წ. განმავლობაში მიწაზე ერთდროულ გადასახადით და სანიტარულ გადასახადით.

უსინათლოთა ხასწავლებლის სახალხო განათლების სამინისტროსათვის გადაცემა, შინაგან საქმეთა სამინისტროს გამგებლობაში არსებული უსინათლოთა სასწავლებელი თავის კრედიტებით გადაეცეს სახალხო განათლების სამინისტროს.

ქართულისაღერბო მარკები. ფინანსთა მინისტრის მიერ წარმომადგენელი პროექტი ქართულ საღერბო მარკებისა მოწონებულ იქნას ქართული საღერბო მარკების ხმარებაშიი შემოდგომის დღიდან გაუქმდეს რუსული საღერბო მარკები.

ერთი მილიონის კრედიტი ონის რაიონის მცხოვრებთათვის პურის მისაწოდებლათ. გადაიდოს სამხედრო ფონდიდან ერთი მილიონი მანეთი მთავარ მიმწოდებელ სამართველოს განკარგულებაში ონის რაიონის მცხოვრებთათვის პურის მისაწოდებლად.

დეკრეტი ტყავეულობის გასაკეთებელ მასალის დამზადება-შეძენაზე მონოპოლიის გამოცხადებისა. მიწათ მოქმედების მინისტრის მიერ წარმოდგენილი დეკრეტი ტყავეულობის გასაკეთებელ მასალის დამზადება-შეძენაზე მონოპოლიის გამოცხადებისა მიღებულ იქნას და გადაეცეს დამფუძნებელ კრებას.

ქუთაისის ხელოტიის უფროსმა მაღნარაძემ 8 საათის ბაღლარი დღის დარღვევის გამო ქუთაისში დაკეტა 22 პურღვინით სავაჭრო და ყველა სავაჭროების პატრონები სამართალში მისცა.

საზოგადო საკრებულოში. ქუთაისის საზოგადო საკრებულოში აღკრძალეს აზარტული თამაში.

მორჩაძე ქუთაისში.

ჩვენ არა ერთხელ აღგვინიშნავს ადმინისტრაციის აპარატის მოუწყობლობა და უმოქმედობა, მაგრამ როდესაც ამას ვწერდით თუ ვამბობდით მართველი პარტიის ორგანოები გამოდგებოდენ და გაიძახოდენ: —

ეხლა რევოლიუციის ხანაა, ჩვენ რევოლიუციას ვალრმავებთ და არ შეიძლება ამა თუ იმ დარგს თან არ სდევდეს დეფექტებიო.

ჩვენ ამას იმ დროში ნაწილობრივ ანგარიშს ვუწევდით, მაგრამ დღეს, როდესაც ასე თუ ისე ნორმალური ცხოვრება უნდა იყოს დამყარებული, როდესაც ადმინისტრაციის ძალა გაძლიერებულია და მისი შენახვა მილიონობით ჯდება, უფლება გვაქვს მოვითხოვოთ, რომ ადმინისტრაცია თავის სიმაღლეზე იდგეს, წესიერებას თვალყურს ადევნებდეს და სდევნიდეს იმ ყაჩაღებს რომელნიც დიდი ხანია მთელ მხარეს ავიწროებს.

ჩვენ ვამბობთ ყაჩაღ მორჩაძეზე. მორჩაძე ქუთაისში წარმოიშვა. ვინ იყო მისი გაყაჩაღობის მიზეზი ამის გამორკვევას ჩვენ არ შევუდგებით. ქუთაისიდან იგი ოკრიბას ეწვია, ოკრიბიდან ლეჩხუმში გადავიდა, ლეჩხუმიდან ისევ ოკრიბაში დაბრუნდა, ამ უკანასკნელ ხანებში კი თავისუფლად დაიარება. ხშირად ქუთაისის სტუმარიც არის ხოლმე.

უნდა აღინიშნოს, რომ მორჩაძეს სახელი თვითონ ჩვენმა ადმინისტრაციამ გაუთქვა.

როდესაც მას დასდევენ დასაჭერად მთელი რაზმებით მას მხოლოდ 4—5 ამხანაგი ყავდა. სულ რამდენიმე კაცი უმკლავდებოდა მთელ რაზმს და გასაკვირიც არ არის თუ მან ისეთი სახელი გაითქვა დღეს სოფლად რომ ლეგენდისებურად ლაპარაკობენ მასზე. ყველა ეს იმით აიხსნება, რომ ქუთაისიდან გაგზავნილი რაზმი არ ღებულობდა ენერგიულ ზომებს მის დასაჭერათ.

პირიქით ერთ-ერთი რაზმის მილიციელები ამბობენ; „ჩვენ არ ვესვრით მორჩაძეს; რადგანაც იგი კარგი ბიჭიაო“. აი ასეთ მდევრებს აგზავნიდა და გზავნის დღესაც ადმინისტრაცია მორჩაძის დასაჭერათ და რა გასაკვირია თუ იგი დღემდის ვერ შეიპყრეს.

კიდევ მეტი, ხშირად გაგზავნილმა რაზმმა კარგად იცოდა თუ სად ცხოვრობდა მორჩაძე, მაგრამ რაზმი მეორე სოფელში შედიოდა და იქ ქეიფობდა.

დღესაც კარგად იცის ადმინისტრაციამ სად ცხოვრობს იგი მაგრამ ზომები? ზომებს ჩვენ ვერ ვხედავთ.

მაგრამ რაც 5 აგვისტოს მოხდა ყველაფერს აღემატება. ამ დღეს ქუთაისში შემოვიდა მორჩაძე, გაისეირნა, მთელი დღე აქ დაჰყო, ივაჭრა, ნავაჭრით სავსე ხურჯინი პოსტზე მდგომ მილიციელს აჰკიდა ქალაქს გარეთ გაიყვანა, შემდეგ ხურჯინი ჩამოხსნა, უკანვე გამოისტუმრა და უთხრა: —

მე მორჩაძე ვარ. წადი „სადაც თქვენი სთქვათ იქაც ჩემიც სთქვითო“,

არ ეიცი როგორ შთაბეჭდილებას დასტოვებს ეს მკითხველზე, მაგრამ ეს კი ფაქტია.

ამის შემდეგ რა უნდა მოვსთხოვოთ ჩვენ ადმინისტრაციას? ნუ თუ იმისთვის იბეგრება მოქალაქეები, რომ ასეთი ენერგია გამოიჩინოს ადმინისტრაციამ?!.

და დასასრულ ჩვენ ვკითხულობთ რა ზომებია მიღებული მორჩაძის დასაჭერად?..

მოქალაქე.

ბინდში.

...ეკენისთვე... დღეები შემოკლდენ... მზე ჩასვლისას ცეცხლის ფრად ანათებს სახლის ფანჯრებს...

ბინდი მოიპარება...

ოთახში წოწყენაა. ორული საათი მონოტონურად ყვება ერთ და იმავეს... ცხოვრების დასასრულზე, უძლურ სიმოხუცეზე, სიკვდილზე.

გარეთ, ქარი მიწამდის ხრის იასამანს... ცვინდებიან გამხმარი ფოთლები...

ბინდმა მოიცვა ყოველივე... ვზივარ მარტო ოთახში, ვოცნებობ, მეორე ოთახში კი ვიდაც ნაღვლიანად იმღერის...

...ის ლამაზი, ამაყი იყო; მის შავ თვალებს სევდა დაუფლებოდა და როცა ჩაიცვამდა შავ ხავერდოვან ტანსაცმელს და აბრეშუმივით თმებში ბრილიანტოვან დიადემას გაიკეთებდა ლამის ღმერთს მოგაგონებდათ.

და მასთან მივიდა ვაჟი გამხდარი, გაყვითლებული, დათენთილი მასზე ფიქრით და წითელ ნაზ ყვავილის მიწოდებით ნელი ხმით უთხრა.

— მე ვოცნებობდი თქვენს თვალებზე... თქვენს ღიმილზე...

მან გაიღიმა.

მართლა?

მან აიღო ყვავილი. დაფიქრდა. თითქო ვერ ამჩნევდა მას, გაყვითლებულს დატანჯულს და გლეჯდა ნაზ, ჰაეროვან ფოთლებს. შმოდგომის ქარი კი იტაცებდა მათ და ისინიც ვით სისხლის წვეთები, ეცემოდენ ძირს.

— რას შვრები?..—წაიდუდუნეს მისმა გაფითრებულმა ტუჩებმა.

— ახ!—წამოიძახა მან და ისევ განაგრძობდა სიცილს.

როცა ყვავილიდან მხოლოდ ეკლები დარჩენ, მან მოიხედა...

— სადა ხარ?

მაგრამ ვაჟი აღარ იყო.

ის უკვე აღარ იცინოდა, მის შავ თვალებში შიში გამოკრთოდა.

სადა ხარ?.. მე შენ მიყვარხარ. ქარს მიქონდა მისი უკანასკნელი სიტყვები დაგლეჯილ ფოთლებთან ერთად შემოდგომის წყვდიადში.

მის ძახილზე არავინ გამოეხმაურა,

იგი მოიცვა შიშმა, და გამოუთქმელ მწუხარებით აღმოხეთქილ კვნესით დაეცა ყურთბალიშებში...

ბინდში კარგია ოცნება.

გერცოგი.

ბეიუკ ვედის მხარეში

(ინგლისურ მისიის ცნობა)

თბილისი. 5 აგვისტო, კავკასიაში ინგლისის ჯარის მთავარი შტაბის სამზეოროთ განყოფილების უფროსის გენ. ბიჩისაგან შემდეგი ოფიციალური ცნობა მოვიდა: 1) ივლისის ბეიუკ-ვედში (სადბავლოსთან ახლო) ჯარი გაეგზავნა. სანამ ადგილობრივ მთავრობასთან მოლაპარაკება იყო. სომხეთის ამ ჯარს მუხანათურად თავს დაესხა თათრის ჯარი და იძულებული ჰყო უკან დაეხია. 6 ოფიცერი მოუკლეს და 9 დაუჭრეს. ასზე მეტი ჯარის კაცი კოკლული და დაჭრილია. 2) ივლისის 10. ამის გამო სომხეთის მთავრობამ ბეიუკ-ვედის ადგილზე გაგზავნა ჯარი, რომელშიც დაახლოვებით 5000 კაცი იყო. 11 დღის ბრძოლის შემდეგ სამხედრო მოქმედება შეწყვიტეს, მაგრამ სოფელი ბეიუკ-ვედი ვერ აიღეს, რადგან სოფელს კარგად მოწყობილ თხრილებიდან ტყვიის მფრქველებით და ზარბაზნებით იცავდნენ. 3) თათრებს ოსმალთა პოლკოვნიკი ხალილ-ბეი ხელმძღვანელობდა 4) ბეიუგ-ვედთან ბრძოლის დროს ნახიჩევანში მდგომარეობა, რომელიც რამოდენიმე დღის წინ საშიში იყო, უფრო ცუდი შეიქნა. და ივლისის 19 თათრებსა და სომხებს შორის შეტაკებით დამთავრდა. ინგლისის სამხედრო წარმომადგენელმა კაპიტანმა შვინდტმა მდგომარეობის ხელმძღვანელობა თავის თავზე მიიღო. ბრძოლა ივლისის 25-მდე გაგრძელდა. ამ დროისთვის ადგილებს თათრის ჯარი გარს შემოერტყა. და გერეშე ადგილებში მიმოსვლა შეწყვიტა. 25 ივლისს სომხებმა ზანგეზურსიკენ უკან დაიხიეს. 4) ცნობა, მიღებული თბილისში ივლისის 31, (აღნიშნულა თავრიზი 29 ივლისს) აღნიშნავს, რომ ნახიჩევანში ინგლისის მისიის მთელ შემადგენლობამ კაპ. შვინდტი და იანტიკი და ლეიტენანტი აღსნონი) ორა მოსამსახურე ქალით, რომლებიც ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტში მსახურებდენ, მოასწრეს 28 ივლ. რკინის გზით სამხრეთისაკენ წასვლა, ისინი 29 ივლისს თავრიზში მშვიდობიანათ ჩამოვიდნენ.

წყნარ მუშაკს.

(ჭირთან მებრძოლი სადგურის გადატანის გამო).

უცხო ქვეყანაში მყოფი სულ სამშობლოსკენ მოისწრაფოდა. უნდოდა თავისი ცოდნა, თავისი გამოცდილება მშობელი ერის სასარგებლოდ გამოეყენებია. მზად იყო უფრო მცირე ადგილიც დაეჭირა, ოღონ თავის სამშობლოში, თავისიანებში ყოფილიყო.

1917 წლის რევოლიუციამ შემოხვევა მისცა, რომ თავისი დიდი ხნის განზრახვა განეხორციელებია. როდესაც ხსენებულ წელში თათარ-სომეხთა ბრბო შეესია ზურნაბადის მდიდარს საქონლის ჭირის საწინააღმდეგო შრატის დასამზადებელ სადგურს. ამ სადგურის გამგემ მ. ი. ფარცვანიძემ რაღაც სასწაულით დარბევას გადაარჩინა სადგურის დიდძალი ქონება, რომელიც შემდეგში ქუთაისში იქნება ჩამოტანილი. დიდი, აუტანელი შრომა გადაიტანა მ. ფარცვანიძემ ამ ქონების გადარჩენასა და გადმოტანაში. დიდი შრომა დასჭირდა მას აგრეთვე ქუთაისში საშრატე სადგურის მოწყობაზე. ვის არ ახსოვს, თუ რამდენი უსიამოვნება შეხვდა მას ქუთაისის ქალაქის გამგეობასთან, რომ უკამასკნელს სადგურისათვის საჭირო ადგილი და ზოგიერთი შენობა დაეთმო საღორიის აგარაკში, სასაკლაოსთან. განა შეიძლება დავიწყოს კაცმა იმ ხუთი ძირი ბეოლის ისტორია, რომელიც ფარცვანიძემ სადგურის ახალ ეზოში დარგო და რომელმაც ქალაქის გამგეობის მხრით (განსაკუთრებით ერთი წევრის მხრით) დიდი პროტესტი და მიწერ-მოწერა გამოიწვია! ამ „ისტორიული“ ბეოლების საქმის გამო ერთი ადგილობრივ გაზეთის რედაქტორით და თვით ბ. ფარცვანიძე იძულებული გახდენ ქალაქის საბჭოს სამსჯავროს წინაშეც წამდგარიყვენ და „თავი ემართლებიათ“ ქალაქის გამგეობის მხრით მათ წინააღმდეგ წამოყენებულ „ბრალდებაში“. როგორც მახსოვს, ამ ხდომაზე ქალაქის საბჭომ მადლობაც კი გამოუცხადა ბ. ფარცვანიძეს სადგურის ასე ჩინებულად მოწყობისათვის.

და მართლაც ჩინებულადაა მოწყობილი სადგური. ერთი თვალის გადავლებით დარწმუნდებით, რომ სადგური საქმის კარგად მცოდნე და მასთან მოსიყვარულე პირისაგან მოწყობილი. ეს ნამდვილ მეცნიერული დაწესებულებაა ათასგვარი გამოკვლევითა და ნიმუშით. ყველაფერ სიდიადის დაღი აზის. ყველგან სისუფთავე, ყველგან წესი და ყველგან რიგი. სადგურის რომელი განყოფილებაც უნდა დათვალიეროთ, გამგის კაბინეტიდან და ლაბორატორიიდან დაწყებული საქონლის თავლებამდი, შიგნით თუ გარეთ, ეზოში თუ ბაღში,—ყველგან ამას დაინახავთ, ყველაფერს აღტაცებაში მოყავხართ. და ეჭვი გებადებათ, ნუ თუ ყველაფერი ეს ქართველის ხელითაა შექმნილი და არა რომელიმე ევრმანელი მეცნიერის ხელითო.

წლინახევარის განმავლობაში საშრატე სადგურმა დიდი, დაუფასებელი ღვაწლი დასდო მთელ საქართველოს, განსაკუთრებით მის დასავლეთის ნაწილს, სადაც საქონლის ჭირი განსაკუთრებული სისასტიკით მძვინვარებდა. რომელ მხარესაც კი მისწვდა ქუთაისის სადგური თავისი შრატით, საქონლის ჭირი მოსპო. თუ წინად სოფლელები ალმაცერად უცქეროდენ საქონლის ჭირის აცრას და ვეტერინარ—აქიმებს სიახლოვეს არ იკარებდენ, ახლა ყველამ შეიგნო მისი დიადი მნიშვნელობა და ყველა ლოცვა-კურთხევით იხსენიებს ფარცვანიძის „მარჯვენა“-ს.

მაგრამ შრატის მოთხოვნილება იმდენად გადიდდა, რომ სადგური ამ მოთხოვნილების ერთ მესამედსაც ვერ აკმაყოფილებს. ამ გარემოებამ გამოიწვია სადგურის გაფართოების მიუცილებელი საჭიროება. ძველს ადგილზე კი მისი გაფართოება ადგილობრივი პირობების გამო შეუძლებელი შეიქმნა. დაიწყო ბ. ფარცვანიძემ სადგურისათვის შესაფერი ადგილის ძებნა. დიდი შრომა, დიდი ბრძოლა დასჭირდა მას მიწათმოქმედების სამინისტროსთან, რომ მას სადგურისათვის შესაფერი ადგილი დაეთმო რაღაც ჩვენთვის გაუგებარი მოსაზრებით, ბ. ხომერიკმა, მიუხედავათ სპეციალისტების დადებითი დასკვნისა, ჯერ ვარციხის მამულის დათმობაზე სთქვა უარი და შემდეგ ციხიჯვრის მამულისაზე. მაგრამ, როგორც ამ ბოლო დროს გაზეთებმა ცნობა მოგვიტანა, ბ. ხომერიკი დათანხმებოდა ციხიჯვრის მამულის დათმობაზე, თუმცა „დროებით“, მდგომარე წლის დამლევამდიო. დარწმუნებული ვართ, ბ. ხომერიკს ეს „დროებით“ მხოლოდ ისე, ფორმისთვის, თავის პირველი დანაშაულის თითქო შესამსუბუქებლად შეუტანია დადგენილებაში, თორემ, განა შესაძლებელია, რომ ჭირთან მებრძოლი სადგურის ქუთაისიდან ციხიჯვარში გადატანა და მოწყობა, სასაც ასი ათასობით ფული დასჭირდება, „დროებით“, რაღაც ოთხი თვით იქმნეს?! ოთხს თვეს ხომ სადგური ხეირიანად ვერც კი მოეწყობა ახალს ადგილზე! ამიტომ უნდა ვიგულისხმოთ, რომ სადგური სამუდამოდ გადააქვთ ციხიჯვარში.

მეტად სასიამოვნო და სასიხარულოა ეს ცნობა. დღეიდან ბ. ფარცვანიძეს შეძლება ეძლევა სადგური შესაფერისად გააფართოოს და სასურველ ნიადაგზე დააყენოს თავის საყვარელი საქმე, რომელსაც ის ასე თავდადებულად ემსახურება. სოფელი ციხიჯვარი კი საშრატე სადგურისათვის ყოველი მხრით აკმაყოფილებს მოთხოვნილებას და, ჩვენი ფიქრით, მთელ საქართველოში ამისთვის საუკეთესო ადგილად უნდა ჩაითვალოს, დიდებული ბუნება, თითქმის ხელუხლები მისი წიაღი, მაღლობი ადგილი, სრულიად სალი თივა, აუარებელი საძოვარი და სათიბი ადგილი, მდინარის სიახლოვე, შვენიერი შენობები, როგორც საქონლის მოსათავსებლად (თავლებად), ისე სადგურის მოსაწყობად და მოსამსახურეთა დასაძინავებლად და, დასასრულ; რკინის გზის სადგურის სიახლოვე (ბაკურიანის სადგურიდან შვიდი ვერსითაა დაშორებული შვენიერი გზატკეცილით),—ყველაფერი ეს ხელს უწყობს სადგურის ფართოდ და რიგიანად მოწყობას.

თქმა არ უნდა, სადგურის ციხიჯვარში გადატანასა და მოწყობას დიდი შრომა და ხარჯი დასჭირდება; მაგრამ სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ბ. ფარცვანიძის საოცარი ენერგია და სიმტკიცე სიყვარული დასძლევს ყოველივე დაბრკოლებას და ის „დალოცვილი-მარჯვენა“, რომელმაც გახურებული რევოლიუციის დროსაც კი შესძლო უცხო ქვეყნიდან ქუთაისში სადგურის გადმოტანა და რამდენიმე კვირის განმავლობაში მისი მოწყობა,—ახლა კიდევ უფრო მალე შესძლებს ციხიჯვარში სადგურის გამართვას, თუ, რასაკვირველია, მთავრობამ ნივთიერად ხელი შეუწყო.

ვუსურვოთ დღეგრძელობა და ულეველი ენერგია წყნარ მუშაკს, რომელიც. იმდენად გატაცებულია საქმის სიყვარულით, რომ ტოვებს იმ ადგილს, „სადაც შობილა, გაზრდილა და უსროლია ისარი“, სადაც ცხოვრობენ მისი ნათესავები და ამხანაგ—მეგობრები; სხვერპლად სწირავს თავის პირად სიამოვნებას, თავის კეთილდღეობას ხალხის სამსახურს და ამისთვის არ ერიდება მიყრუებულს, ცივს, თოვლიან—ყინულიან ციხიჯვარში წასვლას, სადაც რვა თვის განმავლობაში ნამდვილი ზამთარია და ადგილობრივ ბერძნებს გარდა მომსვლელს ვერავის ნახავთ.

გზა მშვიდობისა!

ისარა.

სამარხი კასა.

ქუთაისის წყალ-გაღმა მხარეში დაარსებულია სამარხი კასა, რომელსაც 115 წევრი ჰყავს, მაგრამ მოქმედება ამ კასისა ეხლა შეჩერებულია საქმის მწარმოებელის—ერმალო გოგავას სიკვდილის გამო. მე შემთხვევით წავაწყდი რამდენიმე ათეულს ამ კასის წევრებს. მოლაპარაკების დროს რომლებმაც მთხოვეს მეთაურობა ამ საქმეში. წინადადება სიხარულით მივიღე და ნაწარმოები საქმეებიც ჩავიბარე, ვიქონიე მოლაპარაკება ამ მცირე რიცხოვან წევრებთან რომლებმაც ვსცანით საჭიროთ საქმის გავრცელებისათვის მოუწოდოთ ქუთაისის ეკლესიების წინამძღვრებს—სულიერ მამებს, რომ იმათმა, როგორც დაახლოვებულმა ხალხთან და საქმესთანაც კეთილ ინებონ თავიანთი ზნეობითი მოვალეობასთან ამოგვიჩინონ ფაქტიური დახმარება: აუხსნან ხალხს წესდება და სარგებლობა სამარხი კასისა, და შეუდგინონ სია მსურველთა კასის წევრობის ხელ მომწერელთა, ამოგვიჩინონ დახმარება იმათშიდაც რომ ეს მოსაზრება გააცნონ ყველა ეკლესიის საბჭოს წევრებს ყველა მეთაურებს, გაურჩევლათ პარტიისა, რომელთაც შეუძლიათ შეუწყონ ხელი ამ დამხმარებელი ღარიბი ჭირისუფლებისთვის კასის ამოძრავებას. მე იმედი მაქვს ჩემი, ვიმუშაო დაულალავათ.

არჩილ დალაქიშვილი.

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.

მატარებლების საზაფხულო მიმოსვლა.

1919 წ. 1 ივლისიდან.

ქუთაისში მოდის.

თბილისიდან.

პირდაპირი	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილით
ჩქარი	№ 1—7	— 80—	—
საფოსტო	№ 3—7 ს.	— 40—	საღამ.
სამგზავრო	№ 15-1 ს.	— 50—	ღამით

ბათომიდან.

პირდაპირი	№ 72—1 ს.	და 30 წ.	დღით
სამგზავრო	№ 6—5 —	— —	დილ.
ჩქარი	№ 2—1—	— 50 წ.	ღამ.

ფოთიდან.

პირდაპირი	№ 36—8 ს.	და 28 წ.	დილ.
საფოსტო	№ 4—12 ს.	— 55 წ.	—

ტყიბულიდან.

სამგზავრო	№ 81—10 ს.	და 20 წ.	დილ.
საფოსტო	№ 3— 5 ს.	— 30 წ.	საღ.

ქუთაისიდან გადის.

თბილისისაკენ.

პირდაპირი	№ 12 -11 ს.	და 47 წ.	საღამ.
ჩქარი	№ 2—10 ს.	და 2 წ.	საღამ.
საფოსტო	№ 4—10 ს.	— 10 წ.	დილ.
სამგზავრო	№ 6— 3 ს.	— 17 წ.	ღამით

ბათომისაკენ.

პირდაპირი	№ 44—4 ს.	და 40 წ.	დღით
სამგზავრო	№ 5 3 ს.	— 30 წ.	ღამით
ჩქარი	№ 1—6 ს.	— — წ.	დილ.

ფოთისაკენ.

პირდაპირი	№ 35 --3 ს.	და 25 წ.	დღით
საფოსტო	№ 3—5 ს.	და 50 წ.	დილ,

ტყიბულისაკენ.

საფოსტო	№ 4—7	საათზე	დილას.
სამგზავროს	№ 82—4 ს.	4 წ.	საღამოსი

საათები ნაჩვენებია ადგილობრივი დროით.

ქუთაისი, სტამბა „ძმობა“, პუშკინი სქუჩა, სახლი ძმ. ბერუჩაშვილებისა.